ნახევრის! — და მიტრტე... და მანც ავერ... ვერ მოვიპოე, ისევე აქ არის სახეც ვავეცეთ, — ამიღო — ველიობით, მუხანათობას, შურის და მტრობას, — თავდაფრეებით თუ არ გესურს — ტრფობა! მისის ბოლის შველიობით, ღვინოვ, და ოქტომბერი შველიობით, ტრფობა!

განაჯილდინა თარხანა მხალა მხალა მხალა



ნ.ბ. ზ. კატირაშვილისა

ჩვენი „მედიანური“

როდესაც კომუნისტების გავლით ბუენოს-აირესში გახლდით, შეგხვდა ჩვენი მსოფლიოს კინოფარსკვლავი ჟულიეტა მაზინა თავისი ფელინიო! მე დღეს მინდა მათ შესახებ მოვახსენო ჩვენს საზოგადოებას, ვინაიდან, დიდი ხანია, მისი ყურთასმენა წაღებულია ეკონომიკით, ეკოლოგიით, ნიტრატებითა და პოლიტიკით!.. მე კი ეჭვი არ შეპარება, რომ ჩვენი ინტელიგენცია მონატრებულია ხელოვნების მაღალ სულიერ ასპექტებს.

აჰ, ისინი!
როცა ჟულიეტამ მდრინავ თეფშებს თვალი გააყოლა, ფელინმა ისარგებლა მომენტით და თვალი ჩამიკრა, თან შეუძინევლად ჩამოლაპარაკა, — ამ საღამოს შეგხვდეთო! მე შლაპის სწორება დავიწყებ, ვითომც აქ არაფერია-მეთქი. ჟულიეტამ ქვევიდან ამოგვხვდა, მგონი, რაღაცას მიგვიხვდა, მაგრამ არ შეიძინია. ტყუილად კი არა ფილოსოფიის დოქტორი! ლიღინ-ლიღინით მოგვიახლოვდა და საოცარი, მომაჯადოებელი ლიმილით მიმიპატიუა შინ ჰქია ჩაიზე! ასე ჩაგვეშალა პეშანი მე და ფელინის!..

ფელინები საღამოთი დიდხანს მეკითხებოდნენ — როგორ მიდის თქვენთან საქმეებო? მეც გაუთავებლად, მტრედით ვლულუნებდი: — თუ შიშის, ნიტრატებს და ექსტრემისტებს გადავურჩიო, ყველაფერი რიგზე იქნება-მეთქი! რაც მთავარია, უნიკიერესი პოტენციის ახალგაზრდობა მოვიდა. მათი დავიზია — „არა კაც ბკლა!“ ძველი, დრომოკმული ლოზუნგი — „ხწავლა, ხწავლა და ხწავლა!“ — სწავლაზე გადადებული. ჯერ მაინც სწავლების ახალი მეთოდია

მუშავდება: ამას კი წლები სჭირდება! ..ვინც არ მუშაობს, ის არ ჰამს! — ეს ლოზუნგიც მოუღებელია ჩვენი ახალგაზრდობისათვის, ვინაიდან, უმეტესი ნაწილი, 40 წლამდე, არ მუშაობს, მაგრამ შესანიშნავად იყენებს მშობლების პენსიას, ხელფასს, ან სიმწრით მოპოვებულ სხვა შემოსავალს! მზიან ამინდში უყვარს მირინგები, შეხვედრები, ბარები, ვიდეოები!..

ჟულიეტა სულ თავს მიქნევდა. მას გამპკირვალე, ვარდისფერი-მიხაკებიანი ხალათი სხეულზე ნიავისაგან ისე ეფათქუნებოდა, გეგონებოდათ, ახლა გაფრინდებაო! ფელინი კი, ნახევრად მიძინებულ თვალებით შემომყურებდა, — ეტყობოდა, რაღაც ახალ სცენარს იგონებდა მომავალი ფილმისათვის!..

უცებ გრეგორი პეკი გვესტუმრა. ხელზე შემთხვია!.. მაზინისა და ფელინის ცივად მიესალმა!.. ცოცხალი მე და გრეგორიმ დავტოვეთ ისინი — განაწყენებული ჩანდნენ, მაგრამ რას იზამ?! გრეგორა, ავტო უკვე ერთი თვეა, რაც, პარიზის გავლით, ტოკიოში შეპატივება და, განა რომელი კუთაამყოფელი იტყვის ასეთ ტურნეზე უარს?!

პო, კინალამ გადამაგიწყდა: ტოკიოში, ხელოვნების მუზეუმში ახალი კონცერტით უნდა შეგვეგებოს მაიკლ ჯექსონი თავისი დით და აპლით! მე და გრეგორი პეკს წინ გრძელი გზა გვიდევს!.. მფარველი ანგელოზები არ მოგველებოდეს ამ რთულსა და გრძელ გზაზე!..

ლია სვანიძე

ზიზი

— შაგრი გაქვს
ძალიან პეერი!
ნითხრა ფიქმა
და ეს მაწინებს!
— არ ჩამოხვიდე
წესტაფონს, თორემ
გადაგიშვებენ
ტურში მაწინვე!

მასპარეზობა

ნატალეის დეიკო
ქმარს მოეფრა, ბიკენტის:
— თავს ნუ მოიკლავ, ხომ იცა
კაცი ცოცხლობს იმედით!
როგორ გგონია, წედსიძედ
გამოგვადგება კლიმენტი?
— რა გაეწყობა, მოვსინჯოთ
კვ ერთი ექსპერიმენტი!

რომან ხაბაპურიძე
(ქ. წესტაფონი)

„გნეობრივი წერილები“

(ამონარიდი)

ხენეას „წნეობრივი წერილები“
კაცობრიობის ერთ-ერთი საუკეთესო
წიგნია, ამის გაშვიკად გთავაზობთ
რამდენიმე ნიმუშს.

- **ხველაფარი**, რაც კარგად არის ნათქვამი — ჩემია, ვისი ნათქვამიც უნდა იყოს.
- **თუ** გინდა, ძალაუფლება მოიპოვო ყველაზე, საკუთარ თავზე ძალაუფლება დაუთმე გონებას!
- **ამჟნ** თუ არა მნიშვნელობა, როგორ ცხოვრობ, თუ თვითონ მიგაჩნია, რომ — ცუდად?
- **ყოველი** ჩვენგანი მიდის ცხოვრებიდან ისე, თითქოს, ეს-ეს იყო, მოვიდა.
- **ვინც** თავი შეინახა, მას არაფერი დაუკარგავს, მაგრამ განა თავის შენახვა ყველას შეუძლია?
- **ყოველი** ჩვენგანი სცოდავს, ცხოვრებას ნაწილ-ნაწილ გაიზარებს, მთლიანად კი ვერაფერს.

● **სოციალი** სიკეთე სიკეთეა სხეთისათვის, იგი მოიცავს ფასეულობებს, მაგრამ მათ არ გააჩნით კეთილშობილება.

● **ვინც** ყველაზე მეტად ერთგულია შემთხვევითობისა, იგი თავს ვერ დაიხსნის შფოთისაგან: საამისოდ მან ბევრი საბაბი შექმნა საკუთარი თავისათვის.


● **უბუნური**, რომელმაც მიიღწია კეთილდღეობას, ღიბხანს ვერ შეინარჩუნებს მას: ბედნიერება ხომ, თუ ზომიერება დაგვაფიწყდა, თვითონვე იხრჩობს თავს.

● **რა** არის უკეთესი ადამიანი? უთუოდ გონება, რომელიც გამოარჩევს მას ცხოველებიდან და ახლებს ღმერთებთან.

● **ნიბრიყმის** შეუძლია ახოხდეს სიბრძნემდე, სიბრძნეს კი არ შეუძლია ჩამოვარდეს სიბრიყვემდე.

თარგმან
ელგუჯა მერაბიშვილმა

ნ.ს. ბ. ზუბაშვილისა



უწარწერო

სრულიად არასაიდუმლოდ

საქართველოს შურნალ-გაზეთების
გამომცემლობა „სამშობლოს“

ესაპირობება მაკულატურის მწეხეები, სამუშაო
ერთცვლიანია (I ცვლა), ანაზღაურება 400-500 მან.
თვეში.

ცნობებისათვის მიმართეთ კადრების განყოფილებას:
მ. კოსტავას ქ. № 14. ტელ.: 99-95-43.

გაზეთი „თბილისი“, #1 მაისი, 1991 წ.

გვიან გამოდის „ნიანგი“ —
დამცინის მთელი ქვეყანა!..
ვიცი, ქალაღი არა გაქვთ
(წინათ ქალაღი ეყარა!),
თანაც არ მყოფნის ხელ-ფასი —
ცოლ-შვილს ვერ ვუხდი ბეგარას!..
ვარ დაწნეხილი მე კაცი,
წელში ვსწორდები ველარას!..
ვარ თქვენს დიდება-ქებაშიც, —
ჩემი პირველი მწე ხართ და, —
გთხოვთ, გეხვეწებით: მიმიღეთ
მაკულატურის მწეხეავად!
წინასწარ გმადლობთ!

შურნალ „ნიანგის“ მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლშვაკი

ნახ. ი. ყაიხანიძის



უწარწერო

საქართველოს
შურნალ-გაზეთების
გამომცემლობა

ენის განსახილველი

ხაჩიწია „დაჩა“ დაჩის
უჩინმაჩინ 'შაბარაჩის'

საქართველოს
შურნალ-გაზეთების
გამომცემლობა

დროზე გეფიქრად

შეაღიე ხუფრას ტვინი?! —
ახლა ყლაღე ხუპრასტინი!

გ რ ი ვ ი

გუშინ ცოლმა ტახტიდან
ნაწილ-ნაწილ ამკრიფა —
ერთი კვირა ვიწევი,
მომათავა ამ გრიპში!

რას იზამ!

თანამდებობით — მეფრინველღე —
უნდა მოშეკლა ტურა,
მაგრამ გამოდგა ნადირთ მეფის —
ლოშის ნომენკლატურა!

მარის მიმართულებით

ხულ მიავიწყდა
თეატრი და ოპერა გივის, —
ახლა მდიდარი
შფლობელია კომპერატივის!

ქ ე ზ ლ ი

სახაფლაოზე აველ,
შეკვეთა მინდა ძეგლის,
ქვისა კი არა, ხისა —
არა უბრალოხი — ძელქვის!

ტურინტული სუვენირი

იტალიიდან ათრია ტიკით
ცისფერი წყალი აღრიიტიკის!

აღარ შემიძლია!..

აღარ შემიძლია ამდენის ატანა —
ხაიდან შეგროვდა ამდენი ხატანა?!!

მ ა რ თ ლ ა ც ი

დაღიე, თუკი შემოგრა
კაცურკაცობა მცირელი
რას მოდიოდი ქელეხში,
თუკი ხმას არ აპირებდი?!!

შ ე დ ე ზ ი

ხუყველაფერი — გარდა კმნისა! —
აი, შედეგი გარდაკმნისა!

წუგზარ აფხაზავა

შევეჩვიეთ დროშების
ფრიალს, მერე რა ფრიალს!
ვერ ვიპოვეთ დრო შვეების,
ისევე მძლავრობს მ ა ზ ი ა სი..

გულზე მჭიდის ბრაგუნით.
ეძებს ადგილს ხარფიანს,
ეროვნების აგურიით
თავეებს გვიხეთქს მ ა ზ ი ა სი..

ძველი ცოდვა-სიგლახე
თვალუკუტელა ძაფია,
აწერია მის სახეზე
ერის მტერი — მ ა ზ ი ა სი

იმ გზობით თუ ამ გზობით,
ვიცით, რა უკაფია,
ჩამბაზ-ონბაზობა
ხელზე ახდის მ ა ზ ი ა სი

ქარი ხითაც უბერავს,
იქით სწევს გემს აფრიანს!
რწმენა ვადაუბრელა
დიდ-პატარას მ ა ზ ი ა სი..

საბჭოსთან თუ კონგრესთან
ყოფნის მადა მძაფრი აქვს,
ფიქრობს ძალის მოკრებას
ფრხვემიმღრალი მ ა ზ ი ა სი

გამოსული მზის გულზე
აფენს ენას თაფლიანს,
მისი დაცვა ვის უნდა?! —
თავს ვერ იცავს მ ა ზ ი ა სი

მისი წუთისოფელი
მგავს ბავშვობის ქვა-ფრიალს!
ფრთხილად, ხალხო მშობელთა,
ნუ ენდობი მ ა ზ ი ა სი

რთმის უნდა დაპყრობა ტაში

თუ გამოჩნდა დახლზე პური,
თუ აქამე შეიღებეს „ქაში“,
თუ ნიგვზისთვის გიყუო ფული, —
მაშინ უნდა დაპყრო ტაში!

თუ გასტრონომს ერგო ძეხვი,
თუ იყიდე ძროხის ფაშვი,
თუ ხალათით კი გაძებნი, —
მაშინ უნდა დაპყრო ტაში!

თუ იშოვე ხალი ხახვი,
თუ ლობიო გიდულს ქვაბში,
თუ გაქვს მკადი ისბანახით, —
მაშინ უნდა დაპყრო ტაში!

თუ ოჯახში ნახე ყველი,
თუ შეძელი კამა ხაზის,
თუ პაშიდგრის ხარ მყიდველი, —
მაშინ უნდა დაპყრო ტაში!

თუ მიღიხარ ცოლთან ქინწით,
თუ კომპოზტოს კოცნი თავში,
თუ კარტოფილს შეწვავ, იცი, —
მაშინ უნდა დაპყრო ტაში!

თუ შემოდგი ცეცხლზე ღოში,
თუ წიწილს ხდებ ნიორწყალში,
თუ გაქვს თევზი შეხაბოლი, —
მაშინ უნდა დაპყრო ტაში!

თუ არ დგახარ სადმე რიგში,
თუ სტუმარს არ ელი სახლში,
თუ არ ისმენ ბავშვის ვიშვიშს, —
მაშინ უნდა დაპყრო ტაში!

რაც უნდა მართველი იყოს

თუ ათი კაცი დაწვა და
არ მიუწევი გვერდით,
თუ კაცმა კაცი დაწამლა
და არ გაიყავ ხვედრი,
თუ ვინმე მღერის „სულიკოს“,
შენ „თავო ჩემო“-ს მღერი, —
რაც უნდა ქართველი იყო,
ხარ მოლაღატე ერის!

თუ ვინმე დგას და ტაშს უკრავს,
შენ კი არ უკრავ ამ ტაშს,
თუ ვინმეს ვინმე არ უყვარს,
შენ არ აწყევი შანტაჟს,
თუ ვინმემ ქრთამი აიღო,
შენ დაგიმოკლდა ხელი, —
რაც უნდა ქართველი იყო,
ხარ მოლაღატე ერის!

თუ კაცს ფული აქვს სამარხად,
შენ კი ეს ფული არ გაქვს,
თუ სხვა ყიდულობს „სამარყანდს“,
შენ ვერ ყიდულობ „გაგრას“,
თუ ერთი თოხლავს „ყუელიყოს“,
შენ პურიც არ გაქვს ხმელი, —
რაც უნდა ქართველი იყო,
ხარ მოლაღატე ერის!

ღმერთო, ასე ვინ დაგვეწველა! —
ბევრს შრომა-გარჯა არ ხურს! —
თავს თვლიან ერის დამცველად,
ათრევენ კრელ-კრელ მალსტუხთ,
გულზე მჭიდების ბრაგუნით
აფენენ ენას ზრდახარულს!
ამ ვაიერის კაცებმა
გაგვანადგურეს დახტურ!

რაც დავიბადე, მის მერე
ბედმა რა შხამი მახვა!
ვზრომობ, ვწვალობ და მტრის კერძად
ძალშიძს ტყვიაში განვლავ,
ვარ ქირში ღამის გამთევო,
ღზინის დროს ღზინსაც ვმართავ!
სხვაზე ნაკლები ქართველის
ღედა ვატირე მართლა!

საშინარსული დამინიება

მოჩქაინოს მოყვანილობა



იზიანათად ეს არ გეხდება ტყისთ. არა იმიტომ, რომ არ მიჩერებენ, არ გაგვარცვოს! — პირიქით: მე არ ვაჩერებინებ, — არ გამძარცვოს-მეთქი! რამდენსაც მოგთხოვს, იმდენი თუ არ მიეცი, ზოგი ტყისის მძლოლი მგლის ფერს დაიდებს. მერე ვითომ კვუა ვისწავლე და წინასწარ მოეუროგდები ხოლმე. ახლაც ასე მოვიტყევი. მეტენის ზიდის ყურთან რომ მოვლანია, თუმანს შეეპირდი, — იოანე პეტრიწის ქუჩაზე წამოყვანი-მეოქი! სიამოვნებით დამეთანხმა და მეც სიამოვნებით ჩავყევი.

ტაქსი მარჯველ გასრილდა სანაპიროზე, მერე ერთბაშად მარცხნივ მოუხვია, მერე მარჯვნივ გაბრუნდა და ძველი თბილისი რომ უკან ჩამოიტოვა, — რომელი ნომერი გნებაუნო? — მზრუნველად შემეკითხა მძლოლი. — მე იოანე პეტრიწის ქუჩა გითხარით და აქ სად მომიყვანეთ? — მხრების აჩჩვით გამოვხატე ჩემი ჯავკვირება. — იოანე პეტრიწის ქუჩა! — მიპასუხა დაბეჭითებით.

— პეტრიწის ქუჩა დიდ დილაშია, თხუთმეტ ნომერში ჩემი შვილი ცხოვრობს და რატომ მეხუმრებით? — დიდი დილაში რომ გეხსენებინათ, ტაქსი არ ჩავსვამდით: გარაყში მიმეჩქარება! თქვენ მითხარით, — იოანე პეტრიწის ქუჩაო, — და მოგიყვანეთ! პირი პირია! — არა, ბატონო, ეს ძნელადი ქუჩაა! — ძნელადიკა იყო, მაგრამ გადააჩქევეს! გაიხედეთ, თუ არ გჯერათ!

გავიხედე და სასკოლო დაფისოდენა ფირნიშებზე შავით თეთრზე გარკვევით ეწერა ჩვენი დიდი სწავლულის სახელი და გვარი. მომეწონა, მაგრამ გულიც დამწყვიტა ამ წარწერამ.

— გარაყი სად გაქვთ? — ვცადე წყალწალეებულმა ხავსს ჩაქვილება. ვიფიქრე, ეგებ სასურველი მიმართულებით იყოს და ცოტათი ჰაინც მიმანხლოს-მეოქი.

— სამგორისაკენი.. გნებავთ, ბრძანდებოდეთ: ორხევშიც არის პეტრიწის ქუჩა! იქნებ იქ ცხოვრობს თქვენი შვილი და დიდი დილაში გგონიათ? ასეც ხდება ხოლმე. მამაჩემი ერთხელ კოჭორში წასულიყო, წყნეთის მაგივრად!

წელმოწყვეტით ავიშვებუნე და ჩამოსვლა მოვახერხე. ის იყო, გაბრუნება დავაპირე, რომ ყურში შამფურის წვერივით მიქვირა:

— ფული!

— როგორ?!

— აქ მითხარით, თუმანს მოგცემთო! დავაიწყებდათ?! პირი პირია!.. მეტეხიდანვე უნდა გადამეხვია და აქამდე ნავთლულში ვიქნებოდი გასული. გზა გამამრუდებინე და ფულსაც არ იხდი! მითხარი, — პეტრიწის ქუჩაზეო, — და მოგიყვანე!

ლიახ, თავიდან ბოლომდე მართალი იყო ის მძლოლი. მაგრამ მეც რომ არ ვტყუოდი, ეს იყო უბედურება.

უხმოდ გავუწოდე თუმნინი, ხურდას ამაოდ დაველოდე და, როცა ის ტაქსი იქაურობას გასცილდა, მაშინდა გავბრუნდი ლასლასით ჩემი ნაცნობი აგტობუსისკენ.

კი, მაგრამ, ღმერთო, თუკი იოანე პეტრიწის ქუჩა თბილისში უკვე მოქმედებდა, რატომ დაგვირდა ჩერ მეორე ქუჩის დაარსება და შემდეგ — შესამისა? ეგებ მეოთხეც არის სადმე და მეხუთეც! მე ხომ ხუთი თითოვით ჩერაც არ ვიცი თბილისი?!

ამ ჩემმა მწარე შეცდომამ და თუმნის დეკარგამ ერთი სხვა უსიამოვნება გამახსენა: ორხევში ერთმა „ფიგულიანმა“ კაცმა ფიროსმანის ქუჩა იცითა. მე ვუთხარი, — აქედან შორს არის, სადგურ თბილისის მიდამოებში უნდა იკითხო-მეთქი! როცა „ფიგული“ დეკურობას გაშორდა, ვილაც ახალგაზრდამ ჩემს გასაგონად ჩაილაპარაკა, — ფიროსმანის ქუჩა ორხევში არისო! მიწა რომ გამსკდომოდა და შიგ ჩავეტანე, მერჩია!..

ეგ, რაც მე შემემთხვა, და რაც სხვას ვადახდა, ის, რა თქმა უნდა, არ მეცოდინება. ვინ იცის, რამდენი სეხნია ქუჩა ჩვენს ქალაქში! იქნება კიდევ, რადგან შარშან სამშობლოს სიყვარულით გულანთებულ ერთი მამულიშვილი რესპუბლიკის ერთ-ერთ ცენტრალურ გაზეთში გულისწყრომას გამოხატავდა, — დავით აღმაშენებლის შემდეგ, ყველაზე გამოჩენილი მეფე ფარნავაზი გვყავს და მისი ქუჩა კი არხად არისო! ეგებ იმ პუბლიკაციას ამჟამად რომელიმე ინტანცია განიხილავს კიდევ: რათა გამოასწორონ ეს შეცდომა და რომელიმე ქუჩის ფარნავაზის სახელი შეარქვან! ხინამდვილესი კი საქართველოს მამას. გამაერთიანებლსა და განმანათლებლს ისეთი მწვენიერი პროსპექტა აქვს იმავე დიდი დილის დახახლებაში, დედაშიწის არც ერთი სახელოვანი მეფე არ დააწუნებდა!

იქნებ ცოტა გვყავს სახელოვანი წინაპარი და ამიტომ ვაწუნებთ ერთსა და იმავე პიროვნებას? მართო ძველ საქართველოში, სხვა სახელებს რომ თავი დავანებოთ, იოანე პეტრიწის გარდა, მოღვაწეობდნენ იოანე მინახი, იოანე მტბევაძე, იოანე ზოსიმე, იოანე ხატონიშვილი, იოანე შავთელი, იოანე შედაწენილი, იოანე ათონელი, იოანე ხელაშვილი, იოანე ტიშტიშელი, იოანე ქსიფილინოს-პაპუწისწვილი, იოანე ბრღენილი, იოანე ქონჭოზისძე, იოანე ანჩელი, იოანე ტარიკისძე, იოანე ხახანისძე!.. ეს — რაც მე გამახსენდა და რაც თქვენ გაგახსენდებთ, ის სხვა არის, რომელთა ოთხმოც პროცენტს არც ერთი ქუჩა არ გააჩნია! განა ეწყინებოდა იოანე პეტრიწს, მისი რამდენიმე ქუჩიდან, სწვისთვისაც რომ ეწყალობებინათ რომელიმე პატარა ქუჩა? მათ მივიწყებულ სახელებსაც მტვერს გადავაციდით და აღარც შედმეტი ფული დაგვეხარჯებოდა!

ქუჩებისათვის სახელების შერქმევა ხომ საქმის გადავიღებისთვის არის შემოღებული და არა გართულებისთვის! რაში გვირდებია, ერთი და იგივე სახელის ქუჩა რომ გვიქონდეს ერთსა და იმავე ქალაქში? ისიც საქმის გართულებაა, როცა ისტორიულ ტომონამურ სახელს რომელიმე პიროვნების სახელით ვცვლით. რაც უნდა სახელოვანი იყოს ეს პიროვნება! დიდხანს ვეძებე გურამიშვილის გამოჩენილი და გული დამწყვდა, ავჭაღის გზისთვის რომ დაურქმევათო! ეს გზა საუკუნეების მანძილზე ატარებდა ამ სახელს და ახლა რაღ დაგვირდა მისი შეცვლა? დავით გურამიშვილის პატივსაცემად არავითარ შემთხვევაში ძირძველი ტომონამის შეცვლას თვითონ გურამიშვილიც არ დაგვეთანხმებოდა და, ეგეც არ იყოს, „ავჭაღის გზატკეცილი“ მართო ქუჩის სახელს კი არ ნიშნავს, მგზავრს მიუთითებს, საითაც მივმართება ეს ქუჩა. ასეთივე კახეთის გზატკეცილი, რუსთავის გზატკეცილი, კოჭრის გზა, წყნეთის გზა და სხვები. ასეთი ტომონამებისთვის სახელის გადარქმევა და რომელიმე უფრო სპატიო სახელის შერქმევა უხერხულობაში აყენებს იმ საპატიო მოღვაწეებს, რადგან ავჭაღის გზას მინც გზად მოიხსენიებენ და ვერც კახეთს წაართმევენ გზატკეცილს! მგზავრი ხდება, რომ ეს გზა კახეთში მიდის, ის გზა — ავჭალაში და რატომ უნდა გავუბრუნოთ საქმე ავჭარი გადარქმევით? არადა, ჩერ სახელების გადარქმევა თქვით და მერე — გადმორქმევა, მასთან დაკავშირებული სიძნელები და ხარჯები!..

ნუ ვჩქარობთ, თუ გვინდა, რომ არ დავიგვიანოთ! მოჩქარეს მოუგვიანდესო!





უწარწერო

ზ. გ.

მთნთპსნიფუქსსუტთ

მრთ სუფრაზე უვარელში თამადამ დიდი ექსტაზით შესვა საბკოს თავმჯდომარის ხაღღერძელო.

უვარლის მერს გაუმარჯოს-მეთქი მეც შევეურთდი მესუფრეებს. თავმჯდომარემ იწყინა, — მერი ჩემი ცოლია, მე გიორგი მქვიაო!

— „როცა ჩიხურიდან გადიხარ, დაწერე და ფანქარაში გამოკარი, ხაღა ხარ და როდის დაბრუნდებიო!“

მეორედ მოსულ ვიქტორს ასეთი წარწერა დახვდა: „ჩიხურში ვარ და ვეპმ!“

მრთხელ უვარელში დიზელის ძრავიანი ელექტროსადგური პქონდათ, მას ვინმე პეტრე მართავდა. თუ პურ-მარილზე დაპატიებდნენ, პეტრე სინათლეს აუნთებდა ხოლმე. ერთ სუფრაზე პეტრე დაპატიების გარეშე გვიან მოვიდა. ოთახი ნათურებმა გააჩირაღდნა.

— განათდეს პეტრეს ოჯახიო! — იქუბა სუფრამ.

პეტრემ თავისი გაინაღდა — კარგად იხიამოვნა და შუა სუფრიდან წავიდა, მალე ოთახში სინათლე ჩაქრა.

— ჩაქრეს პეტრეს ოჯახიო! — დაიწყველა ოჯახის უფროსმა და ლამა აანთო.

შემოდგომის სუსხიანი ხაღამო იყო, როცა პურ-მარილიდან შექვიფიანებული ვართანა სახლში დაბრუნდა. ალაყაფის კარები ღია დახვდა, გადაახიჯა თუ არა ზღურბლს, სახლობას ერთი აურზაური აუტება: დაგცხათ, თქვე ოხრებო, ორივე კარი რომ გაგიღიათ?!”

ლემ სოფლიდან მგზავრობდა თელავში, ახმეტაში კაკალი ეყიდა და, — რაზე გავცდემო, — ქვა აიტანა, ამტკრევდა და არჩევდა კაკალს შოფრის კაბინის თავზე, რამდენი კაკალიც გატება, შოფრმა იმდენჯერ მანქანა გააჩერა. — ალბათ, ვიღაცა ჩადისო!


თელავში ლემ კაბინის თავზე დააბრაუნა, მაგრამ შოფრმა აღარ გააჩერა. — ალბათ, ისევ კაკალს ამტკრევენო!

ახე ჩაიყვანა ლემ გურჯაანამდე.

თელავის „სოიუზპეტრის“ ერთ-ერთ ჩიხურს ერთ დროს ვანაგებდა მოხუცი კაცი — ვინმე კარაპეტა. მასთან იძენდა ახალ უურნალ-გაზეთებს მასწავლებელი ვიქტორი. ვიქტორს ხშირად დაეტილი ზვდებოდა ჩიხური, რაც ძალიან მოკმედებდა მასზე.

ერთხელ, როგორც იქნა, ხელში მოიგდო ვიქტორმა კარაპეტა და უსაყვედურა:

ბიძინა კარდანახიზვილი
 (ბ. თელავი)



ილია გვიშვილი

ულწინააღმდეგველად წუთისოფელი — დაუნდობელი და განურჩეველი ადამიანთა მოღვაწის მიმართ... ისე მოულოდნელად მიგვატოვა, რომ სათქმელის გამხელაც ვერ მოვასწარი...

ძნელია და მტკივნეული, შეურაცხველი იმ აზრს, რომ შენ აღარ ხარ ჩვენს გვირდით...

აღარ მოხვალ, არ გავვიღებ მხოლოდ შენთვის დამახასიათებელი, მოკრძალებული, ბავშვურად სუფთა ლინილით!

აღარ მიუღებ „ნიანგის“ რედაქციის განყოფილების გამგის მაგისტრს, რომელთანაც თითქმის განუყოფელი აღიქმებოდი, რადგან თავადღებელი და თავდაუზოგავი შრომა შეგებოდა!

საბედო მანქანის რატომღაც კაუნს (როგორც ყველა საქმეს, ბექდვასაც თავად ახერხებდი) ვეღარ მოგისმენთ დაცარიელებული და თითქმის დაობლებული კაბინებიდან, ხადაც დამთრგუნველი და შეშარავი ხორხმე გამეფებულა!

ველარსადეს გეტყვით იმას, რის მოსმენასაც თავს აარიდებდი. უხერხულად გადაიტანდი საუბარს სხვა თემაზე!

არადა, რამდენ თბილ სიტყვას იმსახურებდი ადამიანური კეთილშობილებით, პროფესიული კომპეტენტურობითა და კეთილსინდისიერებით, სამშობლოსა და მოყვანის განუზომელი სიყვარულით, კაცურკაცობით!

ნადრეგად და მოულოდნელად მიგვატოვე, მაგრამ შენი ხსოვნის ნათელი ჩვენთან დარჩა, დაუფიქრარო კოლეგა!

დაცარიელდა ხკამი, მაგრამ შენი ხული ისევ ტრიალებს იმ რედაქციაში, რომელსაც უერთგულესად ემსახურე ცამეტი წელი!

მთელი ცხოვრებით დაამტკიცე, რომ ორგულობა ხაერთოდ უცხო იყო შენთვის!

დაიბადე 1928 წლის 20 აგვისტოს, კასპის რაიონის სოფელ ხოვლეში. დედაქალაქში უამრავი საქმით გადატვირთული, ყოველ შაბათ-კვირას მამაბაბუელ სოფელში მიიჩქაროდი, მკლავ და მუხლმოუხრელად უფლიდი ნაფუძარს!

მრავალმხრივი განათლება მიიღე: ეკონომიკური, ხაინუინრო, ფილოლოგიური...

სხვადასხვა დროს მუშაობდი ნაშუალო ხკალის მანწავლებლად, რაიონული გაზეთის ლიტერატურულ მუშაკად, თბილისის მეტროპოლიტენის მუშენებელ-ინჟინრად, საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რედაქტორად!

ხადაც უნდა ყოფილიყავი და რა თანამდებობაზეც უნდა გემუშავა, საქმისთვის არახდროს გილატია, ცხოვრება გაიძულედა, მაგრამ არახოლეს ავილია ხელი მოწოდებაზე, კალამი ხელიდან არ გაგვარდნია. — შენი მოწოდება მწერლობა იყო და მისი ერთგული დარჩი მთელი ხიცოცხლის მანძილზე!

თითქმის ყველა ლიტერატურულ კონკურსში მონაწილეობდი და მეტწილად გამარჯვებულს პრემიას იმსახურებდი! ოცამდე წიგნის ავტორი გახდი! გამოუქვეყნებელი დარჩა ხქელტანიანი რომანი, მოთხრობები, პიესები... ვერ მოახწარი უამრავი ხაინტერესო ჩანაფიქრის განხორციელება!

ისიც განსაკვირვებელია, რაც მოახწარი! — ოჯახზე, სამხაზურებრივ მოვალეობაზე თავდადაებული კაცი როგორ ახწრებდი და ახერხებდი ამდენს!...

ხაოცარი შრომისმოყვარეობა ვახასიათებდა, ტიტანურ ტვირთს ეწიდეხოდი, შენი წოდების ნიშანი ლომი იყო! — ლომივით კაცი იყავი! — ძლიერი და ამაყი, ამხთან — ხავშვივით ალაღმარადი.

იქნებ ამიტომაც მოღვაწეობდი ასე ნაყოფიერად საბავშვო ლიტერატურის დარგში!

შენი მოთხრობების კრებულები — „მამის სახსოვარი“, „მეტარებლები აღმოსავლეთისაკენ მიდიან“, „გუგულის საათი“, „ლანდი დედისა“ — ნორჩი მკითხველების ხაყვარული წიგნებია.

სათავდადაავლო და ფანტასტიკური ჟანრიდან წაღარსქენ გადადგმული ნაბიჯიც ხაინტერესო ლიტერატურულ მოვლენად იქცა, რაც შენი შემოქმედებით დიაპაზონის, მწერლური ფანტაზიის დაუშრეტელ რენურხებზე მიგვიანიშნებდა!

განსაკუთრებულ წაღარებს წერდი. ამის ხაყუეთესო დახტურია წიგნი „მომალადე ბელრა“, აღლო აუღე და გითავისე, რომ ხაყოველთაო და შხარდი აქსელერაციის პირობებში ჩვენი ნადრეგად გათვითცნობიერებული, მოაწროვენ და ამიტომ „დევეტუელი“ ხავშვებია, ასე ადვილად არ იქერებენ, არ ირწმუნებენ ამხავს, რომელსაც არაფერი აქვს ხაერთო რეალურ ცხოვრებასთან!

შენს წაღარებში იგრძნობა ჩვეულებრივი იგავის, მოთხრობისა და ტრადიციული წაღარის ელემენტები, ეს არ არის უბრალო აღრევა, არამედ მათი ორგანული ხინთეზის ცდა, რომლის ხაფუძველზე ჩვენს თვალწინ იხადება უჩვეულო, უფრო სწორად, „ნამდვილი“ წაღარი.

თვითონაც თითქმის წაღარულ სამყაროში ცხოვრობდი — ცხოვრებისეულ რეალობაში იხარშებოდი, მაგრამ ცხოვრებისეული ტუჭვი არ გეკარებოდა!... ყოველდღიური ხაწრუნავი არ გაკლდა, მაგრამ ყოველთვის ყოველდღიურობაზე მალდა იდექი!

ხაკუთარი სამყარო გქონდა, იმდენად სუფთა და ამალელებული, რომ მასი ანგარებისა და ანგარიშწორებისათვის ადვილი არ რჩებოდა!... თავდაც დიდ, წოგერ დაუცველ ბავშვს წაგავდი!... კრიტიკოსები არ განებიერებდენ, მაგრამ ბევრ მედროვე და ხანელგანთქმულ მწერალზე მეტი დამხაზურება მიგიძღვის ეროვნული ლიტერატურის წინაშე!

შენს წიგნებზე აღწრდება ქართველი ბავშვების არაერთი თაობა, ისინი მოგაგებენ ლირსეულ პატივს, რომელსაც ხიცოცხლეში ვერ ეღირსე!

მწერლური დიაპაზონის მრავალმხრივობითაც იქცევი ყურადღებას: პროზაიკოსმა, პუბლიცისტმა, ხატორიკოსმა და იუმორისტმა, დრამატურგიაშიც ხცადე კალამი და რამდენიმე პიესა დაგვიტოვე!

ქართული ლიტერატურის შენამენია 1878 წელს გამოცემული შენი პირველი წიგნი „ქორფლიანი მთავრ“, მოთხრობების კრებული „უამი მქისა“, ფანტასტიკური რომანი „დაგარული ანდრომეტი“, რომანები — „ნიმბი“, „ჩამქრალი კელაპტარი“!

არ ჩამქრალა შენი მწერლური ნივის კელაპტარი! — ანათებდა და მომავალშიც გაუნათებს მრავალრიცხოვან მკითხველს!

მახვილი კალმით ამხელდი ჩვენი ცხოვრების მანკიერებებს, „ნიანგის“ ბიბლიოთეკის“ ხერიით გამოეცი ხატორული-უმორისტული ნაწარმოებების კრებულები — „ქმეპიის ბურსუთი“, „მგლის ხიკვილი“, „კომენდანტის ხაათი“!

სამაგალითო იყო „ნიანგის“ რედაქციაში შენი მოღვაწეობა — ცამეტი წლის მანძილზე არც ერთხელ უმიწეოდ არ გაგვიცდენია სამხაზური, არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ რაიმე დავალებზე უარი გეტყვას ან არ შეგებრულებინოს!

„ნიანგის“ ისტორია“ დაწერე და ეს ისტორია უერთგულესი თანამშრომლობითაც დაამშვენე!

მთელი ხიცოცხლე სიტყვასთან დამქანცველ ჰიდილში გაატარე, ბრწყინვალე მოქართულე რყავი, ძალგებდა „სრულ-ქმის სიტყვათა, გულისა გახაგმირთა“!... დღღღა რა იყო, არ იცოდა!... ხიცოცხლამდე ორი დღით ადრე დამთავრე ახალი რომანი „ჩემი უიღბლო დედოფალი“!

იღბალმა გიმტყუნა!... არც დაგჩივლია როდესმე ჩანმრთელობაზე და ვერც ავადშყოფად წარმოგიდგენდა ვინმე!... უცებ წაქეცი ლომივით კაცი!

აქამდე იბლიანები ვიყავით ყველანი, ვისაც რაიმე ურთიერთობა გქონდა შენთან, უპირველესად — შენი ცხოვრების დედოფალი და ხამი შვილი, რომლებზეც მზე და მთავრე ამოგვიოდა!

მხოლოდ ერთხელ მიეცი შენს თავს მამაკაცური ხისუხტის უფლება — ამა წლის შ აპრილს ვერ დამხვე თვალზე მომღგარი ხიხარულის კრმლი!

— დმერთო, ისე ნუ მომკლავ, რომ თავისუფალ საქართველოს არ მოვეწროო! — ინატრე ცრემლმორიულმა!

ერთი მტკიველი ქართული მიწა არ გემეტებოდა დასათმობდა! — მზად იყავი, ხიცოცხლემც კი გაგწირა მისთვის!

შენი ერთ-ერთი უხაყვარლესი მწერლის, შექსპირის გარდათქმული სიტყვებით რომ გითხრა, ... შენ კაცი თუავ, ვით შემფერის კაცხა კაცობა... უკუით — დიდებულო, სრული — ნიკიერებით, აგებულებით — ახოვანი, მიხვრა-მოხვრით — ხაოცარი, საქმით — სწორი ანგელოზისა, გონიერებით — ღვთისა!

სწორად ამიტომ მძიმე ხვედრი გარგუნა ბედმა!... მსუბუქი იყო შენთვის ქართული მიწა, ხადაც განისვენებს, ძმომ ელგუჯა!

წონ, საყკუნეთა ხიდიმუქნიხაქუნ!

ქრონიკული
ნიგლირთიქს

„... და მაინც თქმა სჯობს!“
ბ. კოლოფიუსი

ბატონა მეცნიერებს მაშინ მოუხმობ მშველელად, მეგობრად, გნებავთ, ტვინის სალეს ქვად, როცა ხელთ ჩხირი იპყრო და საკუთარი ქონის კერიაზე ნაცარს დაუწყოს წეჭევა. არ არსებელიყო ნაცარქეჩიათა ლაშქარი — პირამიდის ფუძე, ზემოხსენებული მეცნიერი-ქეჩია ვერ აბობლდებოდა გვერდით მოხსენიებული პირამიდის მწვერვალზე და კაცობრიობა ვერ გაიჭრებოდა კოსმოსში!

ზედა აბზაცში სამ სიტყვას შემოხვევით არა იქვს ხაზი გასმული. ვეცდებით ლაგიმტიკოთ, რომ მათ შორის ორგანული კავშირი არსებობს.

ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ ადამიანი მოაზროვნე არსებაა. აზრი სიტყვებით გამოიხატება. თუმცა ამ საკითხზე შესაძლოა განსხვავებული აზრის გვექონდეს (იხევეთ სიტყვებით გამოთქმული), სიტყვა კი ყველაფრის გასაღებია.

„პირველად იყო სიტყვა...“

გახლდათ რაღაც მისტრიკური. ზეცნობიერი ჩვენი დიდი მეცნიერის ნიკო მარის მტდელობაში, ეპოვე რამდენიმე ყოვლის პირველსაწყისი, პირველწყარო სიტყვა.

სიტყვებზე დედამიწაზე კოსმოსიდან მოვიდა და მისი უმაღლესი ფორმის მატარებელი კაცობრიობის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ჰომო საპიენსი გახლავთ (ჩვენში, ასეთი არცთუ უაზრო აზრის არსებობს: ჰომო ქაფიენსი).

ჰოდა, საეარაუდოა, ეს ჰომო მაშინ გაგვიცაპიენსდა. როცა არ დაუტადა რა ახალი წელთაღრიცხვით მეორიათასე წელს, თვითონ მიპყო ხელი საკუთარი საცხოვრებ-

ლის მშენებლობის ობიექტს და საბატიო საქმეს.

ეს ამბავი თბილ ქვეყნებში უნდა მომხდარიყო (დაბურულ, ულრან ტყეში, თუ ველზე, — ამაზე შეიძლება ვიკამათოთ) და ჩვენც იქითვე მივაპყროთ მზერა.

როგორ იშენებს ბუშმენი სახლს დღესაც კი, რათა თავი დაიფაროს მზის მწველი სხივებისა თუ ტროპიკული წვიმისაგან?

იგი თავის იარაღს — შუბს მიწაში არჭობს და ზემოთ პალმის შტოებს მიამაგრებს. ამ „კომპლექსში“ უმთავრესი როლი, ცხადია, შუბს უნდა მივაკუთვნოთ, რომლის სახელი, სავსებით შესაძლებელია, სხვადასხვა ენებზე საცხოვრებლის, სახლის სინონიმად წყველიყო.

ამ ჰიპოთეზის საფუძვლიანობის დასაბუთებლად გავეცნოთ სიტყვების ასეთ სინტაქსო მწკრივს:

- კერა — კერია.
- კომლი — კვამლი.
- hotel — hot (ინგ.) ცხელი.
- Halle — hell (გერმ.) ნათელი.
- дом — дым.
- курень — куриться.
- очаг — очаг.

ჩანს, რომ უკვე სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანები ასოციატურად ერთნაშენის მსგავსად აზროვნებენ, როცა ურთიერთს უკავშირებენ საცხოვრებლის და კერის, ცეცხლის, კვამლის, სითბოს, სინათლის აღმწინშენელ ცნებებს, აიგივებენ კიდევ.

ახლა კი დავუბრუნდეთ ჩვენს მოსაზრებას და მტიკედ გამოვთქვათ ერთი ასეთი ფრთხილი ვარაუდიც — ებოქაში, როცა არ არსებობდა ჩინელი, ინგლისელი, ბუშმენი და თქვენ წარმოიდგინეთ, არც ქართველი, ადამიანის პირველი ხელოვნური საცხოვრებლის სახელწოდება უნდა ყოფილიყო „ა მ“!

კიდევ ერთი გადახვევა მთავარი მაგისტრალიდან შორეული წარსულის ორლობებში:

სიტყვა „ა მ ს“ სულ სხვა, დღემდე შემორჩენილი „პირველადი“ დატვირთვაც გააჩნდა, რაზეც მეტყველებს შემდეგი ჩამონათვალი — კლვა, kill, колоть.

სასიამოვნოა, რომ ჩვენს ჰიპოთეზას ამ ფრიად უსიამოვნო სიტყვების მწკრივაც ამაგრებს — „ა მ ს“ და მისგან წარმოებულ ცნებებს სავსებით შესაძლებელია ჰქონდეთ „მეორეული“, ამჯერად მშვიდობიანი, დატვირთვა.

(აქ შეიძლება წავიკვირებოდეთ ფილოსოფოსოთ კიდევაც: კეთილი და ბოროტი ადამიანს თავისი გაჩენის დღიდანვე დაემგზავრა, ურთიერთს გადაეწნა მის ცხოვრებაში).

მერედა, სად ჩანს ეს „მეორეული“?

მოვიყვანოთ არგუმენტები კომენტარების გარეშე. მხოლოდ ეთქვათ, რომ „ა მ“-სთან შეიძლება დავაკვიროთ არა მარტო სახლის, საცხოვრებლის, ნაგებობის, შესანახი ადგილის და ა. შ. სახელწოდებანი, არამედ სოფლების, ქალაქების, მხარეების და საერთოდ ერთად ცხოვრების გამომხატველი სიტყვებიც.

„ა მ“. როგორც ხის, მცენარის ადმინისტრაციული ტერიტორია:

კომპიტი, კორძი, კოჭი, კომბალი, კოპი, კავი, კორკიმელი, კომში, кол. копье, корень, кора, колос, клён, Kastanie (გერმ.) — წაბლი, Kohl (გერმ.) — კომბოსტო.

საცხოვრებლის, შენობის, შესანახი ადგილის ადმინისტრაციული:

ქობი, ქორ (ხვანურად) — ორხართულიანი ხახლი, კომლი, კოშკი, ხახ(ო)ლი, კარავი,



— ჩემმა კომპერტივმა, ტრუხების მაგივრად, ლელვის ფოთლების გამოშვება დაიწყო!..

ქარვასლა, ქარტა, ეკ(ო)ლესია, სკოლა, კ(ო)ლუბი, კაფე, კერა, კონუსი, კარკასი, ქარქაში, храм, хоромы, хата, корзина, конура, скорлупа, комната, ковчег, sabane (ფრ.) — ჭობი, cachette (ფრ.) — სამალავი, соique (ფრ.) — ნიფარა, coque (ფრ.) — ნაჭუჭი, იოკოს (ბერძნ.) — სახლი, hotel (ინგ.), Kirche (გერმ.) — ეკლესია. **საცხოვრებელთა კომპლექსის, ძველნი, მხარის აღმნიშვნელი:**

კოლხეთი, საქართველო, კახეთი, კაბადოკია, ხონი, ხორგა, ხარაგაული, ხანი, კობულეთი, ბორჯონი, ქორაგი, ქალაქი, კორხიკა, კორინთო, კრეტა, კავკასია, კორეა, კოლიმა, სახალინი, კანადა, კრაალი, ყარხი.

ჯგუფის კოლექტივის აღმნიშვნელი:
კოლ (ებრ.) — ყველა, ყოველი, ყოლიფერი (იმერული დიალექტი), კოლექტივი, კომპლექსი, კოლონა, კოლონია, კოალიაცია, ქორო, ხალხი, ბროვა, კოლტი, კელტები, ხალიბები, colis (ფრ.) — გროვა, common (ინგ.) — საზოგადო, количество, ცხოვრება (ცხოვრება), ყოფა.

ხაზი გაუხვით იმ ფაქტს, რომ „მ“ და მსგავსი თავსართით უამრავი სიტყვა იწყება სხვადასხვა ენებში, რაც, ცხადია, სრულუბითაც არაა შემთხვევითი. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს შემდეგი, კიდევ უფრო ფრთხილი ვარაუდების გამოთქმაც ასეთი პარალელების გავლების მეშვეობით:


ხარი — ხრა-ხახახლე, сарай, ხარდინია, ხარაგოხა, ხარავეო, ხარაპანისი, ხ(ა)რულეხით.

პალო — პალატა, палка, pole (ინგლ.) — შუბი, ნეპოლი, პოლი (ბერძ.) — მრავალი. ხოლი — ხოფელი, село, солома, ხულ, somme (ფრ.) — ჯამი, sommet (ფრ.) — მწვერვალი, წვერო.

შესაძლოა, „ოჯახიც“ „ჯახ — ჯოხს“ უკავშირდებოდეს. ახლა კი, დაპირებისამებრ, შუგვიძლია პირამიდის მწვერვალზეც ავიკრათ — ინდიელები ამ საოცარ, გრძნეული თვისებებს მქონე ნაგებობას „მონ“ უწოდებენ. აქედან კი ერთი ნაბიჯი გვრჩება კონსოხში გასაფრენად. სამკუთხედიც შეიკრა:

ქობი, პირამიდა, კონსოხი.
P. S. ნუ დავივიწყებთ, რომ ყოველივე მდე ქობის კერიაზე ნაცრის ქექვამ მიგვიყვანა!

უუუუცროხი
მეცნიერ-ჩხირითმშრომელი
ნ. ჯეჟიაური



ნახ. მ. პაპაიძისა



— სამი თვე წელს იმიტომ ილაპარაკეს ხეხიაზე, რომ ფახები ხამჭერ გაეზარდათ?
— მაგი რაა, შე კაცო?! გაიხად მთელ წელს ილაპარაკებენ!

ნახ. პ. ლომიძისა

სტაფანე მხარბრძალი

სკამდივანია

ზ ლ ა პ ა რ ი

იყო ერთი სახელმწიფო, სახელად — სკამდივანია. ეს სახელი იმიტომ ეწოდა, რომ იმ ქვეყანაში ყველაზე ძვირფასი ნივთი სკამი და დივანი იყო. ქორწილებსა და დღეობებში ყველაზე კარგ საჩუქრად სკამი ითვლებოდა! ოჯახის შეძლება, ქალის მზითევი იმით განიზომებოდა, თუ რამდენი სკამი ჰქონდათ!..

რატომღაც ისე მოხდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს სკამები მალაზიებიდან გაქრა!.. პირველად ტალონებზე ყიდდნენ, მერე — აუქციონით, მაგრამ მარაგი მალე გამოილია!.. გრეხილი ავეჯის ფაბრიკა გაჩერდა ეკოლოგიური მიზეზის გამო, რადგან ხე-ტყე აღარ იშოვებოდა!..

სკამი საოცნებო საგნად იქცა! სამსახურში ხალხი თავიანთი სკამებით დადიოდა! დიდი თანამდებობის პირებს სკამების თრევა არ სჭირდებოდათ, რადგან კაბინეტებში თოკებით ჰქონდათ დაბმულ-დამონტაჟებული იმპერატორის სკამ-დივანს კი ყარაული მყავდა!..

ნათქვამია, ფანციფუნცი გაცვდა, შავი უამბო დარჩაო! სკამები თანდათან ცვდებოდა, ახალი კი არსად ჩანდა! ხელისუფლებამ მრავალი დადგენილება გამოსცა მათი გამრავლების თაობაზე, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა! ადამიანთა მოთმინების ფიალა აივსო!.. ხალხი ქურაში გამოვიდა და სკამების გამრავლება-განახლება მოითხოვა! მოჰქონდათ ლოზუნგები: „ბანახლეზულ სანოგადო-ეზას — ბანახლეზული სკამეზი“, „ძირს იმპერატორის დამკალი და შერხეული სკამეზი“, „ბაუმარჯოს თვითდაფინანსეზაზე გადასულ ბრახილი ავეჯის ფაბრიკას!“

ფაბრიკის განახლებას მოითხოვდნენ, მაგრამ ხე-ტყე არსად იყო!.. საჭირო გახდა იმპერატორის სავარძლის გაუქმება, მისი ჩამოგდება და სახელმწიფოს დემოკრატიული გარდაქმნა, მაგრამ იმპერატორი სკამს ასე ადვილად არ თმობდა და ყოველმხრივ ებღუშებოდა!..


ხალხის მღელვარებამ ზენიტს მიაღწია! ყველას მობეზრდა სკამების სამსახურში თრევა და ისევ უკან წამოდება! უფრო დიდ გაპირვებაში იყვნენ ისინი, ვინც ნახევარ შტატზე მუშაობდნენ. მათ მთელი სკამის წამოდება აკრძალული ჰქონდათ, სკამს ხომ შუაზე ვერ გაპირდნენ?! ამიტომ უსკამოდ

დადიოდნენ და სამსახურში ფეხზე იდგნენ! სამადლოდ ვილაცა ორიოდე საათით თუ დასვამდა სხვის სკამზე ჯდომა კი ზოგიერთისათვის არცთუ სასიამოვნოა, თუმცა ბევრი სხვის სკამზე მჯდომი ადამიანი არავითარ უხერხულობას არ გრძნობდა!

ასე იყო თუ ისე, წამალი უნდა გამონახულიყო. როგორც კი დაუშვეს მრავალპარტიულობა, შეიქმნა სკამის მოყვარულთა პარტია (არა თანამდებობის მოყვარულთა, როგორც ეს თანამედროვე გაგებით არის), რომელსაც ხელმძღვანელობდა შტატგარეშე (იმ ქვეყანაში სკამგარეშეს უწოდებდნენ) წვეროსანი ახალგაზრდა, სახელად სკამკოჩა. მის წინაპრებს ბევრი სკამი ჰქონიათ და ეს ტრადიციული სახელიც, ალბათ, იქიდან მოდის. პარტიამ შეიმუშავა იმპერატორის სავარძლის გაუქმებისა და მისი გადაყენების კონცეფცია. ლამდამობით იმპერატორის სავარძლის ყარაული იძინებდა (ან რომელი ყარაული გინახავთ, რომ ღამე არ დაეძინოს?!). ერთ ღამეს სკამკოჩა შეიპარა სასახლეში, მძინარე ყარაული გაკოჭა, სავარძელი ახსნა და ჯანჯარიდან გადააგდო! სავარძელი დაიმსხვრა და დაიშალა!.. იმ ქვეყანაში ასეთი წესი იყო: თუ კაცი სკამს დაკარგავდა, მოხსნილად და გადაყენებულად ითვლებოდა!

რაკი იმპერატორმა სავარძელი დაკარგა, ხალხმა სასახლისაკენ იხუვლა და მისი გადაყენება მოითხოვა! იქაური კონსტიტუცია მეტად მკაცრი იყო, იმპერატორს მეტი გზა არ ჰქონდა, ხალხს უნდა დამორჩილებოდა! იმპერია გაუქმდა და თავისუფალი რესპუბლიკა გამოცხადდა! შექმნეს დემოკრატიული პარლამენტი, დაწესდა პრეზიდენტის პოსტიც. მაგრამ ჭერჭერობით არავინ აირჩიეს. გარდა მავალ პერიოდში ქვეყანას მართავდა პარლამენტი, რომელმაც პირველ დღეებზე გამოსცა ტყის აღორძინების დეკრეტი. რამდენიმე წელიწადში აბიზინდა ტყის მასივები, ამუშავდა გრეხილი ავეჯის ფაბრიკა, რომელიც იჭარით აიღო სკამკოჩამ. ფაბრიკა იმდენ სკამს უშვებდა, რომ გზავნიდა აღმოსავლეთ ქვეყნებშიც, სადაც უფრო ადრე დაიმსხვრა დამძალი სკამები!..

ხალხმა შვებით ამოისუნთქა! ადამიანი უკვე სკამით აღარ ფასობდა! ცენტრალურ, თავისუფლების მოედანზე სკამზე მჯდომი იმპერატორის ძველი მოხსნეს და ცარიელი სკამი დატოვეს! იმ ქვეყნისათვის ასე სჯობდა, რადგან ვინც მთავარ სკამზე დაჯდა, ხეირი არავინ დააყარა ხალხს! სახელწოდება კი სახელმწიფოს ძველი დარჩა — სკამდივანია.



სამბორისა და მთავარის შურნალი „მინანი“ №11-12 (1837-38), იენისი. გამოცემის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი სანა ზოლმეჩაი

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ვახუა ამირჯანი, ნოზალი მარათია, რევაზ თვარაძე, ჭემალ ლოლუა (მხატვარ-რედაქტორი), ნოდარ შალაზოია, აღყესანდრე ხაშვილი, ბეგენ ხაბარულაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჩანუდ ჩარკვიანი, თამაზ წყვიფაძე.

ტექნიკური რედაქტორი ირაკლი დუნდუა

გადამცემი ასაწყობად 9. 05 91 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდოდ 1. 07. 91 წ. ქალაქის ზომა 60x90/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბანი 29. საქართველოს შურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“. შეკე. № 979, № 1064. ტირაჟი 70000. შურნალი გამოცემის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ბეგენ მესხარია: მშობენ. თბილის-მ, რუსთაველას პროსპექტი № 45.

ტელეფონები: მთავარ. რედაქტორის — 99-35-58, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/გ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგებების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მე მან ქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «ИИ-АНГИ» (на грузинском языке). Тбилиси, ир. Руставели № 42. Тхвограფია ჟურნალთა-გაზეთთა გამომცემლობისა «სამშობლო», უა. მ. კოსტავა № 14.

ფასი 80 კაპ.

მისამართი 76187

